განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე

„ეგრისის ეროვნული პარკის შექმნისა და მართვის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:
ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:
ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

2024 წელს BMZ/KFW მიერ დაფინანსებული პროგრამის „ბიომრავალფეროვნება და მდგრადი ადგილობრივი განვითარება საქართველოში“ ფინანსური მხარდაჭერით სამეგრელოს რეგიონში ჩატარებული შეწავლის/კვლევების (კვლევის ღირებულებამ შეადგინა 64 000 ევრო) შედეგად დადგინდა, რომ გარკვეულ ტერიტორია აკმაყოფილებს დაცული ტერიტორიის შექმნისთვის საჭირო მოთხოვნებს და შესაძლებელია დაცული ტერიტორიის შექმნა.
წარმოდგენილი კანონის პროექტით შიქმნება ეგრისის ეროვნული პარკი.
ეგრისის ეროვნული პარკი აკმაყოფილებს „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მოთხოვნებს. ამასთან, იგი ეხმიანება საერთაშორისო კონვენციას ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ (CBD - Convention on Biological Diversity; საქართველო კონვენციის მონაწილე მხარეა 1994 წლიდან), სახელდობრ - 2022 წლის დეკემბერში ბიომრავალფეროვნების კონვენციის მხარეთა მე–15 კონფერენციაზე დამტკიცებულ „კუნმინგ-მონრეალის ბიომრავალფეროვნების გლობალური ჩარჩოს“ ხედვას: „2050 წლისთვის ბუნებასთან ჰარმონიაში ცხოვრება“ – მიღწევაში და დაცულ ტერიტორიებთან დაკავშირებულ მის მიზანს (3), რომელიც ადგენს: „უზრუნველყოფა და ხელშეწყობა იმისა, რომ 2030 წლისთვის სახმელეთო, მტკნარი წყლების, სანაპირო ზოლის და საზღვაო ტერიტორიების სულ მცირე 30%, განსაკუთრებით ბიომრავალფეროვნებისთვის მნიშვნელოვანი ტერიტორიები, ასევე ეკოსისტემური ფუნქციებისა და სერვისებისთვის მნიშვნელოვანი ტერიტორიები, ეფექტურად დაცულია და მართულია ეკოლოგიურად წარმომადგენლობითი, კარგად დაკავშირებული და სამართლიანად მართული დაცული ტერიტორიების სისტემებით და სხვა ეფექტური, ტერიტორიაზე დაფუძნებული კონსერვაციული ღონისძიებებით, რომლებიც აღიარებენ მკვიდრ და ტრადიციულ ტერიტორიებს, სადაც ეს შეესაბამება მიზანს და რომლებიც ინტეგრირებულია ფართო ლანდშაფტებში, საზღვაო აკვატორიებში და ოკეანეებში, უზრუნველყოფენ, რომ სადაც დაშვებულია, ნებისმიერი მდგრადი სარგებლობა სრულ შესაბამისობაშია კონსერვაციულ შედეგებთან, და აღიარებენ და პატივს სცემენ მკვიდრი მოსახლეობისა და ადგილობრივი თემების უფლებებს, ტრადიციულ ტერიტორიებზე მათი უფლებების ჩათვლით.“
ეგრისის ეროვნული პარკისთვის განსაზღვრული ტერიტორია კოლხეთის ბიოგეოგრაფიულ არეს მიეკუთვნება, რომლისთვისაც დამახასიათებელია უხვი მეზოფილური, მნიშვნელოვანწილად რელიქტური და ენდემური ფლორა. კოლხეთის ბიოგეოგრაფიული არე საქართველოს ფლორის ენდემიზმის კერა და დედამიწაზე რელიქტური (უძველესი) მცენარეების ერთ-ერთი თავშესაფარია, სამეგრელოს კირქვიანი მასივები კი რელიქტების და ენდემების სიუხვით გამორჩეული ნაწილი. ხელსაყრელი კლიმატური პირობების გამო, აქ შემორჩენილია მესამეული პერიოდის რელიქტური ფლორა, რომელმაც მიიღო „კოლხური ფლორის“ სახელწოდება. რელიქტური ფლორის წარმომადგენლები არიან: წაბლი (Castanea

sativa), ბზა (Buxus colchica), ძელქვა (Zelkova carpinifolia), ხურმა (Diospiros lotus), უთხოვარი (Taxus baccata), პონტოს მუხა (Quercus pontica), იმერული მუხა (Quercus imeretina), ჰართვისი მუხა (Quercus hartwissiana), ლაფანი (Pterocarya pterocapra), მედვედევის არყი (Betula medwedewii), სამეგრელოს არყი (Betula megrelica), კოლხური თხილი (Corylus colchica), პონტოს შქერი (Rhododendron ponticum), უნგერნის შქერი (Rhododendron ungernii) წყავი (Laurocerasus officinalis), მაღალი მოცვი (Vaccinium arctostaphylos), ჯონჯოლი (Staphylea colchica) და სხვ. ასევე გვხვდება ვიწრო ლოკალური ენდემებიდან, რომლებიც მხოლოდ სამეგრელოშია გავრცელებული და ზოგი მათგანი გადაშენების საფრთხის წინაშე იმყოფება, კერძოდ მიგარიის ბაია (Ranunculus migaricus), სამეგრელოს არყი (Betula megrelica), წიწინაური (Polygala albovii), ხიმსიდია (Chymsydia colchica) და სხვა.

რაც შეეხება ფაუნის წარმომადგენლებს, დასავლეთ კავკასიონის ზონაში, მათ შორის სამეგრელოში, შენარჩუნებულია კუნძულოვანი ფაუნის ცალკეული ელემენტები, პირველ რიგში ნაკლები გავრცელების უნარის მქონე სახეობები - მაგალითად, ლოკოკინები: *C*ircassiana *frutis circassica* და *C. frutis veselyi* (Neiber & Hausdorf, 2015), Caucasotachea caligera (Neiber et al., 2016), ასევე კავკასიის კლდის ხვლიკების კომპლექსი Darevskia saxicola კლადიდან (Tarkhnishvili, 2012), კერძოდ D. brauneri და კავკასიური ხვლიკის (Darevskia caucasica) და აჭარული ხვლიკის (D. mixta) იზოლირებული კლადები (Gabelaia et al., 2015; გამოუქვეყნებელი მონაცემები). ძირითადად დასავლეთ კავკასიონზე გვხვდება ენდემური გველგესლა (Vipera dinniki). მეორე მხრივ, აქ გვხვდება ანატოლიური წარმოშობის რელიქტური სახეობებიც, მაგალითად კავკასიური ჯვარულა (Pelodytes caucasicus) ან ბუხის ლოკოკინა (Helix buchi).

ეგრისის ეროვნული პარკის ტერიტორიებზე გავრცელებული ხერხემლიანების 26 სახეობა შეტანილია საქართველოს წითელ ნუსხაში (2011) (უხერხემლო ცხოველების ჩაუთვლელად). მათ შორისაა 8 ძუძუმწოვარი, 13 ფრინველი, 3 ქვეწარმავალი და 2 თევზი. განსაკუთრებით საყურადღებოა ის სახეობები, რომელთა მოწყვლადობა მაღალია არა მხოლოდ საქართველოში, არამედ გლობალურ დონეზე. ესენია: (1) კრიტიკულად მოწყვლადი ევროპული წაულა (Mustela lutreola), რომელიც შესაძლებელია არსებობდეს (დაუდასტურებელია) ეგრისის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე, მდინარეების და წყაროების სიახლოვეში; (2) კავკასიური გველგესლა (Vipera kaznakovi), რომელიც ტყის ზონაში გვხვდება ყველა მონაკვეთზე. ეს სახეობები გადაშენების საფრთხის წინაშეა გლობალურ დონეზე (კატეგორია CR წაულასთვის, EN -კავკასიური გველგესლასათვის). ასევე გლობალურ დონეზე მოწყვლადი (კატეგორია VU) სახეობებია (3) ენდემური პრომეთეს მემინდვრია (Prometheomys schaposchnikovi); (5) დინიკის გველგესლა (Vipera dinniki), მურა დათვი (Ursus arctos), ფოცხვერი (Lynx lynx), არჩვი (Rupicapra rupicapra) და სხვა.

წაბლნარებისა და ადგილობრივი (ლოკალური) ენდემური ფლორის სახეობების ჰაბიტატების კონსრევაცია. კოლხური ტყის ბზის კორომების, მთა მიგარიასა და მთა ჯვარის მიდამოებში შემორჩენული Betula megrelica-ს ტანბრეცილი ტყეების კონსერვაცია.

ეროვნული პარკის დაარსებიდან 3 წელიწადში განხორციელდება მისი დემარკაცია, რომლის შედეგად დაზუსტდება ეროვნული პარკის საზღვარი და დარეგისტრირდება სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მომზადებული იქნა „ეგრისის ეროვნული პარკის შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

„დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის თანახმად, საქართველოში დაცული ტერიტორიების შექმნის, ტერიტორიული გაფართოებისა და დაცვითი კატეგორიის ამაღლების გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პარლამენტი. შესაბამისად, ახალი დაცული ტერიტორიის დასაარსებლად საჭიროა მიღებული იქნეს კანონი.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

კანონპროექტის მიღების შედეგად, წალენჯიხის, ჩხოროწყუსა და მარტვილის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ საზღვარში 37 074 ჰა ფართობს მიენიჭება „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით განსაზღვრული ეროვნული პარკის სტატუსი და შეიქმნება ახალი დაცული ტერიტორია - ეგრისის ეროვნული პარკი.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტი შედგენილია „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად. იგი შედგება 7 მუხლისგან, რომლებიც თანმიმდევრულად ასახავენ კანონპროექტის ძირითად დებულებებს, კერძოდ კანონპროექტის:
პირველი მუხლით განსაზღვრულია კანონის რეგულირების სფერო;
მე-2 მუხლით განსაზღვრულია კანონის ძირითადი მიზნები;
მე-3 მუხლით განსაზღვრულია ეგრისის ეროვნული პარკის ტერიტორიების ფუნქციურ-გეგმარებითი ორგანიზება;
მე-4 მუხლით განსაზღვრულია ეგრისის ეროვნული პარკის მდებარეობა და ფართობი;
მე-5 მუხლით განსაზღვრულია ეგრისისი ეროვნული პარკის სახელმწიფო მართვა;
მე-6 მუხლით განსაზღვრულია კანონის ამოქმედებამდე არსებული ურთიერთობების მოწესრიგება;
მე-7 მუხლით განსაზღვრულია კანონის ძალაში შესვლის ვადა.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიციირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

კანონპროექტი შეესაბამება 2025-2028 წლების სამთავრობო პროგრამას - „მხოლოდ მშვიდობით ღირსებით კეთილდღეობით ევროპისკენ “ (პროგრამის 2.11 ქვეთავის (გარემოს დაცვა): „ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობის მიზნით, განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება დაცული ტერიტორიების გაფართოებისა (რაჭალეჩხუმი და ქვემო სვანეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი) და განვითარების

მიმართულებაზე. 2028 წლისათვის დაცული ტერიტორიების ფართობი დამატებით 100 000 ჰექტარით გაიზრდება".

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონპროექტის ძალაში შესვლა გათვალისწინებულია 2027 წლის პირველი იანვრიდან. ეს თარიღი განისაზღვრა იმ გარემოების გათვალისწინებით, კანონპროექტის აღსრულებისათვის საჭიროა ეგრისის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის შექმნა. ადმინისტრაციის სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის საჭირო იქნება: არაუმეტეს 22 საშტატო ერთეული, შესაბამისი ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა. შესაბამისად, 2027 წლის პირველი იანვრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული უნდა იქნეს კანონის აღსრულებისათვის საჭირო ფინანსები. კანონპროექტი არ ითვალისწინებს კანონისთვის უკუძალის მინიჭებას.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას): კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა არ არის მოთხოვნილი.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):

ბ.ა)კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსების წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტი.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტი იქონიებს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე. კერძოდ, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი გაიზრდება დაცული ტერიტორიების 22 ახალი თანამშრომლის მიერ გადახდილი საშემოსავლო გადასახადით (დაახლოებით წელიწადში 100 289.28 ლარი). ასევე, კანონპროექტმა შესაძლოა გავლენა მოახდინოს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე იმ თვალსაზრისითაც, რომ დაცულ ტერიტორიაზე ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა გაზრდის ვიზიტორების რაოდენობას, რაც სავარაუდოდ გაზრდის ბიუჯეტის შემოსავლებსაც. შემოსავლების ოდენობა დამოკიდებული იქნება ვიზიტორთა რაოდენობაზე.

ასევე, კანონპროექტის თანახმად მისი მიღებიდან 3 წლის ვადაში უნდა მოხდეს ეროვნული პარკის საზღვრების დემარკაცია და შედეგების სსიპ-საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაცია, რაც გამოიწვევს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შემოსავლების ზრდას. მისაღები შემოსავლების ოდენობა დამოკიდებული იქნება დემარკაციის დროს მომზადებული საკადასტრო აზომვითი ნახაზების რაოდენობაზე.
გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ეგრისის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე არ გავრცელდება დაცული ტერიტორიის შექმნიდან გამომდინარე შეზღუდვები ამ კანონის ამოქმედებამდე არსებულ ქონებრივ ურთიერთობებზე, სარგებლობის ლიცენზიებზე და შესაბამისად კანონპროექტი ამ მხრივ გავლენას არ მოახდენს ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტების საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტი იქონიებს გავლენას 2027-2030 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე, ვინაიდან სსიპ - დაცული ტერიტორიების სააგენტოსთვის ყოველწლიურად იქნება დამატებით გამოსაყოფი თანხა. ჯამურად 2027-2030 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტებიდან გამოყოფილი უნდა იქნას არანაკლებ 2 694 720 ლარი (2027 წ. – **648 680** ლარი; 2028 წ. – **648 680** ლარი; 2029 წ.- **748 680** ლარი; 2030 წ. – **648 680** ლარი), რომელიც საჭირო იქნება ეგრისის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის. 2027 წლის პირველი იანვრიდან გამოყოფილი თანხა უნდა გადანაწილდეს შემდეგი პროპორციით (ცხრ. 1):

ცხრილი 1

ეგრისის ეროვნული პარკის ბიუჯეტი 2027 წლის 1 იანვრიდან	**ლარი**
სულ	**648 680**
მ.შ. შრომის ანაზღაურება	**511 680**
საქონელი და მომსახურება (ტანსაცმლის ფორმა, საოფისე და ადმინისტრაციული ხარჯი)	**37 000**
არაფინანსური აქტივების ზრდა (სპეციალური დანიშნულების ავტომანქანა ე.წ. „პიკაპი“)	**100 000**

ეგრისის ეროვნული პარკის მართვას განახორციელებს უშუალოდ სსიპ - დაცული ტერიტორიების სააგენტოს ეგრისის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია, რისთვისაც ადმინისტრაციაში განსაზღვრულია 22 საშტატო ერთეული (ცხრ. 2).

ცხრილი 2

№	**თანამდებობა**	**რაოდენობა**	**თანამდებობრივი სარგო (ლარი)**	**სულ წლის განმავლობაში 2027 წლის 1 იანვრიდან (ლარი)**

1	დირექტორი	1	3 520	42 240
2	დაცვის განყოფილების უფროსი	1	2 400	28 800
3	ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი	1	2 240	26 880
4	ბუნებრივი რესურსების უფროსი სპეციალისტი	1	1 600	19 200
5	ვიზიტორთა მომსახურების უფროსი სპეციალისტი	1	1 600	19 200
6	ბუღალტერი	1	1 600	19 200
7	უბნის უფროსი რეინჯერი	3	1 920	69 120
8	რეინჯერი	13	1 840	287040
სულ წლიური შრომის ანაზღაურება				**511 680**

კანონპროექტი, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე, ასევე გავლენას იქონიებს - საშტატო ერთეულის რაოდენობის მიხედვით საპენსიო შენატანების კუთხითაც. გავლენის ოდენობა დამოკიდებული იქნება დაგროვებით საპენსიო სქემაში ჩართულ პირთა რაოდენობასა და მათ შრომის ანაზღაურებაზე.

2029 წელს განსახორციელებელი ეროვნული პარკის საზღვრების დემარკაციისთვის საჭირო იქნება დამატებით დაახლოებით 100 000 ლარი, რომელიც გათვალისწინებული უნდა იყოს 2029 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში. ასევე, დემარკაციის დასრულების შემდგომ საჭირო იქნება ეროვნული პარკის დაზუსტებული საზღვრების სსიპ - საჯარეო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაცია, რაც გარკვეულ ხარჯებთან იქნება დაკავშირებული. ხარჯების ოდენობა დამოკიდებული იქნება დემარკაციის დროს მომზადებული საკადასტრო ნახაზების რაოდენობაზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას. აგრეთვე, კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღებ პირდაპირ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

კანონპროექტი იქონიებს გავლენას იმ 22 პირის მიმართ, რომლებიც დასაქმდებიან ეგრისის ეროვნული პარკის ადმინისტრაციაში, ამ კანონით განსაზღვრული ტერიტორიის მართვის და დაცვის მიზნით. ამასთან, კანონპროექტის მიღებამ შეიძლება დადებითად იმოქმედებს იმ პირებზე, რომელთა მიწის ნაკვეთებიც დაცული ტერიტორიის საზღვრებთან ახლოს აღმოჩნდება, რადგან არსებული გამოცდილების გათვალისწინებით, დაცული ტერიტორიის სიახლოვე გაზრდის მათი უძრავი ქონების ფასს. ასევე, დაცული ტერიტორიის ინფრასტრუქტურული განვითარება გაზრდის ამ ტერიტორიაზე ვიზიტორების (ტურისტების) რაოდენობას, რაც შესაბამისად, ადგილობრივი მოსახლეობისთვის, რომელიც დაკავებულია მომსახურების სფეროთი, სასოფლო/სამეურნეო დანიშნულების პროდუქციის მოყვანით, ეკოტურიზმით და ა.შ. დამატებით შემოსავლის წყაროებს გააჩენს ან/და არსებულ შემოსავალს გაზრდის. ასევე, ეგრისის ეროვნული პარკის შექმნა არ შეზღუდავს არსებულ ქონებრივ ურთიერთობებსაც და ამ ტერიტორიაზე უძრავი ქონების მესაკუთრე/მფლობელ/მოსარგებლე პირებს ექნებათ სრული შესაძლებლობა, შეუფერხებლად განახორციელონ მათ საკუთრებაში/მფლობელობაში/სარგებლობაში არსებულ უძრავ ქონებებზე სამოქალაქო-სამართლებრივ უფლებათა რეგისტრაცია.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტი არ ადგენს გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა სახის გადასახდელს.

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს ზეგავლენას ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

ბ[2]) ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე კანონპროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტს არ აქვს მოსალოდნელი ზეგავლენა ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, - მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს. აგრეთვე, კანონპროექტის მიღება არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი მიმოხილვა არ მომზადებულა.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.